



საარჩევნო ქვეჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 2 მარტი, 2018 წელი

დრო: 13:00 -15:00

შეხვედრის ადგილი: სასტუმრო „ციტადინი“

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. მერი კაპანაძე - დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი
2. მანანა ბიწაძე-მიქელაძე - თავისუფალი არჩევანი
3. ნაირა ბეპიევი - ა(ა)იპ „კავკასიური მოზაიკა“
4. ირმა ბასილაშვილი - საერთო სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“
5. მამუკა ყუფარაძე - სტუდია „რე“
6. ცოტნე ჯამბურია - საზოგადოებრივი დამცველი
7. ნატალია ხოხიაშვილი - ახალი თაობა დემოკრატიული საქართველო
8. მარიამ გრიგალაშვილი - საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
9. მანანა დევიძე - ფონდი „კავკასიის ეკოლოგია“
10. ლაშა მკურნალიძე - ასოციაცია „სკოლა-ოჯახი-საზოგადოება“
11. გიორგი მარჯანიშვილი - ჩართულობის და განვითარების ცენტრი
12. ტარიელ ირემაძე - დემოკრატიულ ინიციატივათა საერთაშორისო ცენტრი

განსახილველი საკითხები:

1. 2017 წლის არჩევნების შეჯამება
2. 2018 წლის არჩევნებთან დაკავშირებით ქვეჯგუფის სამოქმედო გეგმის განსაზღვრა
3. და სხვა

საარჩევნო ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა ქვეჯგუფის კოორდინატორმა, ქალბატონმა, მერი კაპანაძემ, რომელმაც ჯგუფის წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები. თავდაპირველად მანჯგუფის წევრებს თავისი მოსაზრებები გაუზიარა 2017 წლის არჩევნებთან დაკავშირებით. ქალბატონი მერი გასული წლის არჩევნებში მონაწილეობას იღებდა სადამკვირვებლო მისიაში არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით. იგი აკვირდებოდა არჩევნების ყველა პროცესს. მან ისაუბრა გასული წლის არჩევნების მიმდინარეობისა და არჩევნებისთვის მზადების პროცესზე. ასევე ისაუბრა იმ ხარვეზებზე, დარღვევებსა და ამავდროულად იმ პროგრესზე რომელიც ამ არჩევნებს ახლდა თან. საბოლოოდ მან მეტნაკლებად დადებითად შეაფასა 2017 წლის არჩევნები და იმედი გამოთქვა რომ მომდევნო არჩევნები უპრო უკეთეს გარემოში და ხარვეზების გარეშე ჩაივლის, ამისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების მობილიზება და ჩართულობა არის აუცილებელი.

ქვეჯგუფის შეხვედრაზე განხილვის პროცესში ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ დღეს არსებული კანონი არ არის სათანადო და ბევრ ხარვეზს შეიცავს. ამიტომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და განხილვა შესაბამის სტრუქტურებთან, რათა მომდევნო წლებში შეიქმნას უკეთესი გარემო არჩევნების ჩასატარებლად და ყველა ხმა იყოს სათანადოდ დაცული. საუბარი იყო ასევე სადამკვირვებლო კომისიის კვალიფიკაციაზე და აღინიშნა, რომ ეს საკითხი ნამდვილად წარმოადგენს პრობლემას, რადგან საარჩევნო უბნებზე არიან ძალიან დაბალი კვალიფიკაციის მქონე სადამკვირვებლო კომისიის დამკვირვებლები, რომლებიც ელემენტარული შეცდომებს უშვებენ.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ეთნიკური უმცირესობების საკითხს და აღინიშნა, რომ ხშირად ვერ ხერხდება ინფორმაციის მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე და საარჩევნო პროცესში უამრავი პრობლემა იქმნება.

მნიშვნელოვან პრობლემად იქნა განხილული პოლიტიკური პარტიების რაოდენობა და მათი ფუნქციონირება საქართველოში და ამ კუთხითაც საკანონმდებლო ცვლილებები არის მისაღები, რადგან ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ დღეს საქართველოში პარტიები იქმნება იდეოლოგიებისა და პროგრამების გარეშე, არჩევნებში მონაწილეობისთვის და არჩევნების ჩატარების მეორე დღესვე პატრიის ოფისი იკეტება და წყვეტს ფუნქციონირებას. შესაბამისად ქვეჯგუფის წევრები მიიჩნევენ რომ აღნიშნული საკითხი არის ძალიან მწვავე და პრობლემატური.

სტუდია „რე“-ს წარმომადგენელმა, ბატონმა, მამუკა ყუფარაძემ მნიშვნელოვანი შეთავაზება გაუკეთა საარჩევნო ქვეჯგუფს, რათა ქვეჯგუფის საქმიანობა გახდეს უფრო ეფექტიანი და ასევე მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. მან შესთავაზა ჯგუფის წევრებს, რომ მოხდეს საეთერო დროის დათმობა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინფორმაცია ინტენსიურად მიეწოდება რეგიონების მაცურებლებს და მოხდება მათი აქტიური ინფორმირება.

შეხვედრის დასასრულს ქვეჯგუფის კოორდინატორმა გადაწყვიტა რომ აქტიურად უნდა მოხდეს თანამშრომლობა სხვადასხვა სტუქტურებთან და უნდა ჩაინიშნოს შეხვედრები , რომლებზეც მოხდება აღნიშნული საკითხების განხილვა.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე